ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუა

ჩვენი საბჭოთა სატირის
და იუმორის ოქროპირს —

სამოცი წლისთავს ულოცავს
„ნიანგი" მეირთგას „კროკოდილს"!

ISSN 0132-6015

ნიანგი

20
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

„КРОКОДИЛУ“ 60 ЛЕТ

ნახ. ბ. ეფიმოვისა

„მრავალეროვანი“ პენტაგონი

სიცილის საერთო იუბილე

1922 წლის 27 აგვისტოს, დილით, გაზეთის კიოსკებთან მდგარი რიგები აშკარად ღელავდნენ! — „რაბოჩაია გაზეტას“ მანამდე უსახელო ყოველკვირეული ილუსტრირებული დამატების მკითხველები გაოცებულნი იყვნენ მისი გარეკანით — გაზეთის გახეული გვერდიდან მოსჩანდა წიანგის დაღრჭენილი, წითელი ხახა... ნახატის წარწერა იუწყებოდა: „მოულოდნელი დამატება“. იგი მართლაც მოულოდნელი იყო, რადგან სატირული გახლდათ!

ასე იშვა ამ 60 წლის წინათ ჩვენი ჟურნალი. მან სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მკითხველთა შორის, რამეთუ, სხვა იუმორისტული გამოცემებისაგან განსხვავებით, მიზნად ისახავდა არა მარტო მკითხველთა გართობასა და გაცინებას, არამედ იმასაც, რომ დახმარებოდა ადამიანებს, ნორმალურად ეცხოვრათ და ემუშავათ, ესე იგი, დაეცვა ისინი „არანორმალური“ ადამიანებისაგან — მომხვეჭელების, მექრთამეების, ბიუროკრატების, მლიქვნელების. უსულგულოებისაგან!

სწრაფად იზრდებოდა ჟურნალის ტირაჟი. წლიდან წლამდე სულ უფრო მრავლდებოდა წერილების რიცხვი. ახლა „კროკოდილი“ იბეჭდება თითქმის ხ მილიონი ტირაჟით, ხოლო რედაქცია ყოველწლიურად დაახლოებით 100 ათას წერილს იღებს.

ჟურნალს არასოდეს უღალატია თავისი პრინციპისათვის — ყოფილიყო ცხოვრების შუაგულში, ხელი შეეწყო საზოგადოებისათვის იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც მას პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს.

„კროკოდილი“ ებრძვის საგარეო და შინაგან კონტრრევოლუციას, მონაწილეობს კოლექტივიზაციაში, ეომება ფაშისტებს, აღადგენს დანგრეულ მეურნეობას!...

ჟურნალს ახლაც დიდი სამუშაო აქვს — სოფლისა და ქალაქის მშრომელებისათვის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში დახმარება, პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა, უქნარების, ლოთების, სამუშაოს გამცდენების გამოაშკარავება, შრომის დისციპლინის განმტკიცება!...

ჟურნალის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობა საერთაშორისო თემატიკას: იმპერიალიზმის მტაცებლური არსის მხილებას, ჩაგრულ ხალხთა გამათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას!...

...ყოველდღიურად რედაქციის შენობას მოადგება ხოლმე მკითხველთა წერილებით გატენილი ტომრებით სავსე მანქანა. გვწერენ ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, უცხოეთიდან!... ეს წერილები კარგი ადამიანების ხელში ხვდება. ეს ჩვენი მხატვრების, ფელეტონისტების ხელებია, ისინი სათუთად ინახავენ იმ მოღვაწეთა ანდერძს, ჟურნალის სათავეებთან რომ იდგნენ!...

— ამხილე ბოროტება, დაამკვიდრე სიკეთე! — ამბობდნენ ისინი, — სიკეთემ, სიმართლემ, სამართლიანობამ, ბოლოს და ბოლოს, უნდა სძლიოს კომუნისტური მორალისათვის უცხო ყოველგვარ სისაძაგლეს!

და, აი, უკვე 60 წელია, „კროკოდილი“ ძირფესვიანად თხრის ბოროტებას, ხელს უწყობს ყოველგვარი სიკეთის დამკვიდრებას და ამაში შენ, ჩვენო ძვირფასო მკითხველო და კორესპონდენტო, ჩვენი ერთგული თანაშემწე ხარ!

ასე რომ, ჩემი იუბილე შენი იუბილეა!

ევგენი დუბროვინი,

ჟურნალ „კროკოდილის“ მთავარი რედაქტორი.

„ნიანგის“ ადრესი—კროკოდილს

ჩემო ძვირფასო უფროსო ძმაო! სახელოვანი სამოცი წლის იუბილეს სულითა და გულით მოგილოცავ შენი ორმოცდაცხრამეტი წლის სეხნია— ქართული „ნიანგი“! მოგილოცავ, მოგესალმები და გისურვებ, რომ შენი მახვილი მარად ბასრი ყოფილიყოს და არასდროს დაჩლუნგებულიყოს!

ძვირფასო ძმაო! შენი დაბადების დღეს ზეიმობს ხიცილი მთელ დედამიწაზე და მართლაც სამწუხაროა, რომ ეს დღე წელიწადში მხოლოდ ერთხელ მოდის!

შენს იუბილეზე შორეული კავკასიონის გადალმიდან მოვედი, იმ კუთხიდან, სადაც ზღვაც არის და მდინარეებიც, თუმცა არც ერთში ნიანგები არ ბინადრობენ, მაგრამ, რაც მთავარია, მე მოვედი იმ რესპუბლიკიდან, სადაც საქმეები კარგად მიდის! ღმერთმა ქნას და, კვლავაც ასე გაგრძელდეს, რათა გაისად, ჩემი 60 წლის იუბილეზე, ეს მრისხანე სახელი შემიცვალონ და უფრო ნაზი, ვთქვათ, „მტრედი“ დამარქვან! ვეჭვობ, რომ ეს მოხდეს, რადგან ჩვენს საკბილოს რა გამოლევს?! სატირული ჩანგლებიც რომ გადავყაროთ, ადამიანს სიცილი მაინც მოუნდება!

„სიცილი მრისხანე ძალაა, ადამიანთა ოპტიმიზმს მოწმობს, სულიერი სიჯანსაღის ნიშანია“.

„ზოგჯერ ჯეროვნად არ გაფასებთ იუმორის როლს, ხშირად კი ხუმრობითაც შეიძლება საქმეს გამოადგე“.

ეს ოქროსიტყვები ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფას **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს** ეკუთვნის! სიცილის მსახურთ მუდამ უნდა ახსოვდეთ ისინი!

მოსკოვს რომ მოვდიოდი, ჩემმა ყოფილმა მთავარმა რედაქტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა **ნოდარ დუმბაძემ** დამავალა, გადმოგცე მისი გულწრფელი სალამი და გისურვო ყოველივე კარგი და საუკეთესო!

ამ დავალებას, ჩემდა თავად, დავუმატებ ერთ მოგონებას: პატივცემული ნოდარის მდიდარი კოლექციიდან. „მარადისობის კანონის“ ავტორი იხსენებს:

ერთხელ, კინდღაში, კოსმონავტ ლეონოვს ვკითხე, ვიდრე „სოიუზისა“, და „აპოლონის“ ერთობლივი გაფრენა-შეპირაპირება მოხდებოდა:

— ასეთ შემთხვევაში რა ნიშნის მიხედვით არჩევენ კოსმონავტებს-მეთქი.

მან ოთხი პირობა ჩამომითვალა:

1. გულადობა;
2. სწრაფი მოსაზრების უნარი;
3. დაკისრებული საქმის ზედმიწევნით კარგი ცოდნა და...
4. იუმორის გრძნობა“.

ჩემო ძვირფასო სეხნია! ყველა აქ დამსწრეს, რა თქმა უნდა, სჯერა, რომ შენ მარტო ეს უკანასკნელი თვისება კი არა, ოთხივე ზემოხსენებული გაქვს და შეგიძლია, ჩაირიცხო კოსმონავტთა რაზმში! ოღონდ კოსმოსში არ დარჩე, რომელიღაც თვეზის თანავარსკვლავედში, მალე დაბრუნდი! — ნიანგი ძალიან საჭიროა დედამიწაზე!

სხვათა შორის, ჩემი სარედაქციო კოლეგიის წევრია საქვეყნოდ პოპულარული რომანის („დათა თუთაშხია“) და ტელეფილმის („ნაპირები“) — ავტორი **ჭაბუა ამირეჯიბი!** წამოსვლის წინ ვეძებე იგი, მაგრამ ვერ ვიპოვე. მეორე ნაპირზეა უკვე გასული და ამიტომ მის მიერ რუსულად თარგმნილი მისივე რომანი სპეკულანტისაგან ვიყიდე და ჩამოგიტანე!

მეგობრებო! საქართველოში ახლა შესანიშნავი კლიმატია, როგორც ბუნებრივი, ისევე მორალურ-ფსიქოლოგიურიც! მჯერა, რომ ეს კლიმატი მარადიულია! გაისად 60 წლისა ვხდები და მთელ სატირულ-იუმორისტულ ამქარს გიწვევთ ჩემი დაბადების დღეზე!

დასასრულ, ნება მიბოძე, გადმოგცე ეს ადრესი! რაც შეეხება ჩემს მეორე ადრესს, გთხოვ, ჩაიწეროთ: **საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ქალაქი თბილისი, რუსთაველის პროსპექტი №42, მეორე სართული, კიბის ხელმარცხნივ!**

ნახ. ბ. პროროკოვისა

ამერიკული თავისუფლება

ნახ. ბ. ლეოსი

— ლენოჩკა, არ გინდათ, ჩემი ქვრივი გახდეთ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ეროგვეღია, ვინ–არა, ქვეყანამ დაინახოს!..

ნიანგი ფუგდიდის რაიონში

**ოდესაც ალბა ნახავ ფუმ ბალიშვაებული ბავშვი, რომ ისეთი ზანარის ბარათი მიგიღია: „ალბა-ალბა ბავშვია! ფიდი ანგარიში ეკისრება ასეთ ბავშვებს! ბავშვებისა ალბა ბავშვია! ბავშვებისა ალბა ბავშვია! ბავშვებისა ალბა ბავშვია

ვიცინოთ ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ხალხური იუმორი

ახალგაზრდა ესტუმრა მეგობარს. მასპინძელი ჩვილ პირმშოს ულოლიავებდა.

— ბავშვთან სიგარეტს ეწევით, თუ გადავაგდო?! — **შეეკითხა სტუმარი.**

— არა უშავს, მოსწიე, ბავშვს გადავაგდებ! — **უპასუხა მასპინძელმა.**

●

გურული თოხებს ყიდის. მეგრელი შეეკითხა.

— კარგი თოხებია, მარა ტარები აქვს ცოტა მოკლე! — **მაინც წუნი დასდო მეგრელმა.**

— ყანაში მეტი ტარი არ უნდა, ძამა, და, შენ თუ ბალკონიდან გინდა ყანის თოხნა, მაი არ ვიცი მე! — **გაცხარდა გურული.**

●

სვანს არ მოეწონა სასადილოს ულუფა, განსაკუთრებით — სიფრიფანად დაჭრილი პური და მებუფეტეს ჰკითხა, რამდენი გაქვს ხელფასიო?!

— ოთხმოცი მანეთი!

— წამოდი ჩემთან და 300 მანეთს მოგცემ!

— კი მაგრამ, შენთან რა უნდა გავაკეთო?!

— ყავარს ვხდი და, შენ პურის ჭრაზე გეტყობა, კარგი სპეციალისტი დადგები!

●

სოფლის ორღობეში ერთმანეთს ხვდებიან „ნაქალაქარი“ გოგია და ქართელი, უპრეტენზიო გოგო მაყვალა.

— გამარჯვება, გოგია!

— ზრასტი!

— იი, მეხი კი ჩამოვათხლიშე მაგ შენ ძირნაყარ რუსულსა!

●

სოფლელ ქალიშვილს საქმროსთან განათლებულობით მოჰქონდა თავი და დამშვიდობებისას „პაკა!“-ო, მიაძახებდა. ბიჭმა მეგობრებში იკითხა, რას ნიშნავს ეს სიტყვაო?! უჰ, ეგ საშინელი გინებაოო! მორიგი გამოთხოვებისას გოგომ ისევ აუწია ხელი:

— პაკა!

— შენც პაკა, დედაშენსაცა და მთელ შენს ოჯახს პაკაპუკი! გაიგე?!

●

წვერმოშვებულია და, როგორც ეტყობა, გადაღლილიც. დიდხანს ჩაჰკირკიტებს მოზრდილი ტომის სარჩევს, ნერვიულობს.

— რა არი, კაცო, რას ეძებ?!

— „ბრიტვა“ ჩავდე ამ ოხერშია და ველარ მიპოვია! გვერდიც არ დამახსომდა!...

●

— ექიმო, ავადა ვარ, მუცელი მგვრემს!

— დილით რა ჭამე?

— **მწვანილი!**

— სადილად?

— მწვანილი!

— ვახშმად?

— მწვანილი.

— წადი ვუტექიმთან!

●

სტუდენტებმა ოქროს თევზი დაიჭირეს.

— გამიშვით და, რასაც ინატრებთ, გავაჩენ!

— ერთი ყუთი ჩეხური ლუდი!

ტრიალ-ტრიალით დაეშვა ლუდიანი ყუთი.

— ტარანი ქე ხარ აგერ და გავკეთდით! — **გაიხარეს სტუდენტებმა.**

●

ქუთაისელი — ქუთაისელს:

— წამო ერთი, დავეჭყანოთ ერთმანეთს!

— ვერ წამოვალ, ბავშვი დამიტოვა ცოლმა!

— შენი ცინგლიანი ლაწირაკი კი არა, პაატა დოუტოვა საკაძეს შაჰ-აბასს! დოუტოვე მეზობელს და დავეჭყანოთ ერთმანეთს!

●

ჟიჟიკია სახლში გაცარებული დაბრუნდა.

— რაიო? — ჰკითხა ცოლმა.

— დღეს ხუთი კაპიკის ეკონომია გავაკეთე — ავტობუსში არ ჩავჯექი, ფეხით გამოვეკიდე!

— შე უტვინო, ტაქსს გამოკიდებოდი და მანეთის ეკონომიას გააკეთებდი!

●

ახმახი რჯეული — იმერელს:

— დამეჭიდე, იმერელო!

— არ მცალია მე!

— ქვე კი არ გაგაჩერებ, შე კაცო?! წაგაქცევ, ადგები და წახვალ!

●

— სააღდგომო კვერცხები შელებე?

— არა, ქათამი შევღებე და წითელი კვერცხების დება დაიწყო!

●

ჟიჟიკიას ძმაკაცი მეათე სართულზეა ხაყვარელ ქალთან. ქალი შიშობს, ჩემი ქმარი არ მოვიდესო!

— ქვემოთ ძმა-ბიჭები მელოდებიან, ბრეზენტი აქვთ გაჭიმული, რამე რომ იყოს, ფანჯრიდან გადავხტები! — **ამშვიდებს ჭიჭიკიას ძმაკაცი.**

რეკავს ზარი!

კაცი ფანჯრიდან ხტება! ქალი კარს ალებს და... შემოდის ჭიჭიკია:

— მთელი ქალაქი დევიარეთ და ბრეზენტი ვერ ვიშოვეთ, ქალბატონო!

●

— ჩეიარა ველოსიპედმა?

— კი!

— კაცი იჯდა ზედე?

●

ავტობუსის გაჩერებაზე გოგო დგას. მიდის უცხო ბიჭი და უნდა, აუტორლიალოს:

— მე მელოდები შენე?!

— ავტობუსი ხარ შენე?!

„პაემანი“ თავდება.

●

მასპინძელმა სტუმარს სახელდახელოდ ჩურჩხელა და არაყი გამოუტანა. სტუმარმა ხელი არ ახლო არაფერს.

— აიღე, კაცო!

— არ მინდა! საერთოდ, ჩურჩხელა არ მიყვარს!

— თხილი გიყვარს?

— კი!

— ფელამუში?

— ისიც!

— შე კაცო, აბა, ძაფს არც ჩვენ ვჭამთ!

●

კახელის სხვენზე თაგვი კაკალს გააგორებს კუთხიდან-კუთხემდე და ისევ გამოაგორებს, გააგორებს და გამოაგორებს, გაგორებს და გამოაგორებს...

გაბრაზებული გიგა შვილს გასძახის:

— ადი, ბიჭო, გაუტეხე ი კაკალი, თორემ ე ვერანა ღამეს თეთრად გაგვათენებინებს!

●

ძურდი გურულს ძარცვავს — აზიურ ჩექმებს ართმევს. წვალობს გურული, ხვნეშის, — ჩექმა ვიწროა და ვერ იხდის. უცებ ცხარდება:

— მომეხმარე, ძამა, ჩემდა ვიხდი, თუ?!

●

რევიზორი: რატომ არიან თქვენი ფერმის ღორები ასე სუსტად. ალბათ, კარგად არ კვებავთ!

ფერმის მუშა: ჩვენი გამგეც ჩხირიკვითაა, მაგრამ არა მგონია, საკვებს იკლებდეს!

●

რაჭველი თევზაობს. თევზებს მტკაველით ზომავს. მტკაველზე უგრძესს წყალშივე აგდებს, პატარებს — სათლში. უყურა გამვლელმა და:

— კაცო, რასა შვრები?! დაჭერილ თევზებს წყალში ყრი?!

— ქვე, შენი ჭირიმე, ერთი მტკაველი სიგრძის ტაფა მაქვს, მეტი არა!

●

კახელმა მოსწავლემ გაკვეთილი გაცდინა.

— რატომ გააცდინე, ნიკა, გაკვეთილი?!

— მასწ., დედამ შარვალი გამირეცხა და დროზე არ გაშრა!

მეორეჯერაც გააცდინა ნიკამ.

— ნიკავ, გუშინ რატომღა გააცდინე გაკვეთილი?!

— მასწ., თქვენს ეზოში თქვენი შარვალი ეკიდა თოკზე და მეგონა, თქვენ ვერ მოხვიდოდით გაკვეთილზე!

●

ხელოსანს დიდი კარადა გააკეთებინეს, მიატანინეს, დაადგმევინეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ოჯახის დიასახლისი იბარებს ხელოსანს, თქვენი გაკეთებული კარადა ჭრიალებსო! ახედ-დახედა ხელოსანმა, არა ჭრიალებსო! აი, ტრამვაი რომ ჩაივლის, მაშინ ჭრიალებს ხოლმეო! მაშინ შიგ შევალ და დავეღოდები ტრამვაის ჩავლას, ვნახავ, რა მიზეზით ჭრიალებსო!

შევიდა.

ტრამვაის ჩავლამდე ქალის ქმარმა შემოჭრიალა კარი, გაიხადა პიჯაკი, გამოალო კარადა და...

— რა გინდა აქ, შე....

— ეხლა რო გითხრა, ტრამვაის ველოდებიო, დამიჯერებ?!

შეკრიბეს ვ. გოჩალეიშვილმა, ს. ხაჭაურიძემ, მზია დიდებაშვილმა, ა. ფაფოძემ, დ. ყავლაშვილმა, მ. თავზარაშვილმა.

უფროსის სიმღერა უხეირო თანამშრომელზე

პაროდია

თუკი „შტატში ზიხარ",
თუკი ხელფასს იღებ,
თუკი კარგად გესმის ჩემი ხმა, —
რატომ იგვიანებ?!
ადრე რად გარბიხარ?!
რატომ გაათეთრე ჩემი თმა?!

თუკი ტვინით სუსტობ,
თუკი ვერ მუშაობ,
თუკი ველარ ადგამ საქმეს თავს, —
რატომ არ მეშვები?!
რატომ არ მიდიხარ?!
რატომ არ აწუხებ სადმე სხვას?!

გიგლა ბახტაძე

ლექსიკონი

პატივმოყვარე — ვინც საკუთარ ცუდს ვერ ამჩნევს, სხვისას კი — კარგს.

უოჩალი — ყაჩაღი (ზოგიერთის გაგებით).

მივლინება—შვებულება (ზოგიერთის გაგებით).

მლიქვნელი — მსახიობი, რომელიც იმდენ როლს ასრულებს, რამდენი უფროსიც ჰყავს.

ყური — სმენის ორგანო, რომლის აქტიურობა ენის პასიურობაზეა დამოკიდებული.

ალმანზორ თავაძე

— რატომ არა გყავს ერთ წიწილაზე მეტი?!
— მე, გენაცვალე, შენსავით კი არა ვარ! — ფიგურას ეუფრთხილდები!

ფრაზები

- **ენა** წინნუ გისწრებს, თორემ თავს მოგჭრის!
- **უსახელოს** სახელი არ გაუტყდება!
- **გული** რომ მოგივა, არ წაგივიდეს! — თავი შეიკავე!
- **სიკეთე** მას მიაქვს, ვისაც მისი მოტანა არ შეუძლია!

რომან ზუკაკიშვილი

658
18.XI 82

— სწავლა უკვე დიდი ხანია, დამეწყო! მამაჩემს კი შარშანდელი ჩემი ამოცანა ჯერაც არ ამოუხსნია!

82-663

გივი ლომიძე

„კროკოდილის“ ფურცლებზე!

ჟურნალ „კროკოდილის“ მხატვარ-კარიკატურისტთა ნაცადსა და სახელოვან გვარდიას თავიდანვე უმშვენებს მხარს სატირული ყალმის გამოჩენილი ოსტატი, ქართველი მხატვარი **გივი ლომიძე,** რომლის შემოქმედება დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მისი ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სატირულ - იუმორისტულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება. ეს ნაწარმოებები გამოირჩევიან თემის აქტუალობით, პოლიტიკური სიმახვილით, ჟანრობრივი მრავალფეროვნებითა და შესრულების მაღალმხატვრული დონით. ამიტომაც გივი ლომიძის პოლიტიკურ კარიკატურებს არაერთხელ დაუმსახურებია ჯილდოები საკავშირო თუ საერთაშორისო გამოფენებზე.

ამას წინათ რომში გამოიცა ჟურნალ „კროკოდილის“ ანთოლოგია, სადაც შეტანილია ქართველი მხატვარი-კარიკატურისტის რამდენიმე ნამუშევარი.

გთავაზობთ გივი ლომიძის ორ ნახატს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჟურნალ „კროკოდილში“.

რეიგანეკონომიკა — მოქმედებაში!



სიგნალი ისრაელის მორიგი აგრესიისათვის!

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 20 (7630) ოქტომბერი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგაძე

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი,
ნოდარ ბართაია,
გორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუდ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ვაჟა ბანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად
30. 9. 82 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
28. 10. 82 წ.
ქაღალდის ზომა 70×100
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 2351. უე 05804
ტირაჟი 145.000.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137